

**თარგმანისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები
სასპეციალიზაციო გამოცდა**

გამოცდის ფორმატი:

სასპეციალიზაციო გამოცდა ჩატარდება თარგმანის თეორიაში წერითი სახით. ნამუშევარი შეფასდება 100 ბალანი სისტემით. ბილეთი შედგება 4 საკითხისგან: 2- თეორიული, 2 - პრაქტიკული (თარგმანი ინგლისურიდან ქართულად და პირუკუ). თითოეული საკითხი 25 ქულიანია. გამოცდის ხანგრძლივობა 3 საათი.

საგამოცდო საკითხები:

ა)

1. როგორ გესმით «თარგმანის» ცნება და ამ ცნების რომელ განმარტებებს იცნობთ.
2. როგორი იყო ძველი ქართველების ურთიერთობა უცხოეთთან თარგმანის გზით.
3. როგორია თავისუფალი თარგმანის ტრადიცია საქართველოში.
4. გიორგი მთაწმინდელის, ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირეს მთარგმნელობითი მოღვაწეობა.
5. «ვისრამიანი» როგორც ქართულად თარგმნილი საერო ლიტერატურის ძეგლი.
6. თარგმანი თუ გადმოკეთება? «როსტომიანის» მაგალითი.
7. როგორ გესმით რუსთაველის ნათქვამი: «ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები».
8. ქართველ მწერალთა ევროპული ორიენტაცია XVIII-XIX საუკუნეებში.
9. ილია ჭავჭავაძე როგორც მთარგმნელი.
10. ილია ჭავჭავაძე როგორც თარგმანის კრიტიკოსი («ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის «შეშლილი»-ს თარგმანზედა»).
11. ივანე მაჩაბელი როგორც შექსპირის მთარგმნელი.
12. რა იცით «ვეფხისტყაოსნის» ინგლისური თარგმანების შესახებ.
13. ილია და მარჯორი ვორდროპი.
14. ვინ არის საქართველოში თარგმანის მეცნიერული თეორიის ფემდედებელი და როგორ გაგრძელდა ეს საქმე.
15. დაასახელეთ ინგლისური ლიტერატურის ცნობილი მთარგმნელები XX საუკუნის საქართველოში. მიუთითეთ ის ნაწარმოებები, რომლებიც მათ თარგმნეს დედნიდან.
16. როგორ გესმით თარგმანის დანიშნულება.
17. რა ძირითადი განსხვავებაა დარგობრივ თარგმანსა და მხატვრულ თარგმანს შორის.
18. ვინ უნდა ასრულებდეს დარგობრივ თარგმანს.
19. ვინ შეიძლება შეასრულოს მხატვრული თარგმანი.
20. როგორ გესახებათ პოეტური თარგმანი? რა განასხვავებს პოეტურ თარგმანს მხატვრული პროზის თარგმანისაგან?

ბ) განმარტეთ და დაასახელეთ მაგალითები:

1. არქაული სიტყვები;
2. ჟარგონი;
3. პროფესიონალიზმები;
4. დიალექტის ლექსიკა;
5. რიტმი და რითმა;
6. ალიტერაცია;
7. ონომატოპეა;

8. რემინისცენცია;
9. ალუზია;
10. მეტაფორა;
11. მეტონიმია;
12. ირონია;
13. ეპითეტი;
14. ოქსიმორონი;
15. შედარება;
16. ჰიპერბოლა;
17. პარაფრაზი, პერიფრაზი;
18. სიმბოლო;
19. მხატვრული სახე;
20. პოეტური ხატი.

გ) შეასრულეთ მოკლე უცნობი ტექსტის თარგმანი ინგლისურიდან ქართულად.
დ) შეასრულეთ მოკლე უცნობი ტექსტის თარგმანი ქართულიდან ინგლისურად.

ზემოთ მოყვანილი საკითხების მოსამზადებლად სტუდენტს ვურჩევთ მიმართოს შემდეგ ლიტერატურას:

1. გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბ., 1959;
2. ფანჯიკიძე დ., ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები, თბ., 2005;
3. მერაბიშვილი ი., პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა, თბ., 2005.

შენიშვნა: გამოცდის წინ პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის მონაწილენი შეხვედებიან სტუდენტებს და გაუწევენ სათანადო კონსულტაციას.

კონსულტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს პროფ. ინესა მერაბიშვილს.

ტელ: 599500570

ელ-ფოსტა: innesmerabishvili@hotmail.com